საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრიწყაროს ნასოფლარი

თეთრიწყაროს ნასოფლარი, ენეოლითის ბოლოსა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისის (ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ.) ნამოსახლარი ქ. თეთრიწყაროდან 7 კმ-ზე. გაითხარა 1956–58 (ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი). შემორჩენილია ქვის მრგვალი და ოთხკუთხა საცხოვრებელი შენობების საძირკვლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა (ქვის იარაღის სახელოსნო, ფარეხი) ნაშთები. არქეოლ. მასალის უმეტესობა კერამიკაა. ნასახლარზე დადგენილი 2 არქეოლ. ჰორიზონტის მიხედვით წარმოდგენილია სამეთუნეო საქმის განვითარების ორი ერთმანეთზე გადაბმული საფეხური. ქვედა ჰორიზონტის კერამიკა მონაცრისფრო-ვარდისფერია, შემკულია ამოკაწრული სახეებით. ზედა ფენაში ჭარბობს რელიეფური სპირალებით შემკული შავპრიალა და წაბლისფერი ჭურჭელი. ქვის იარაღებიდან გვხვდება: კაჟის, რქეულას და ობსიდიანის დაკბილული ნამგლის ჩასართები, სატეხები, ისრისპირები, ფირფიტები, ანატკეცები, ანდეზიტ-ბაზალტის სანაყები, როდინები, ხელსაფქვავები და სხვ.

თ. წ. ნ-ის მასალის უმთავრესი ნაწილი მსგავსია მტკვარ-არაქსის კულტ. საწყისი საფეხურის ძეგლებისა (დიდუბე, კიკეთი, ოზნი, ბეშთაშენი, სამშვილდე, კოდა, თამარისი და სხვ.).

ლიტ.: გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი გ., თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.

გ. ფხაკაძე